პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 269 (19710) ორშაბათი, 24 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ძრონიკა

სუთნლედის ორი წლის გეგმა — ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

როცა სიტყვა და საქმე ერთია

როგორც მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული, ყაზბეგის რაიონის მშრომელებმა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1600 ტონის ნაცვლად დაამზადეს 1800 ტონა ხორცი. დიდ მაჩვენებლებს მიაღწიეს რაიონის მეურნეობებმა მატყლის დამზადებაშიც: სახელმწიფოს მიეყიდა 3420 ტონა მატყლი გეგმით გათვალისწინებული 2810 ტონის ნაცვლად.

დამკვრელურად იშრომეს ამ სეზონში საკვებმომპოვებლებმაც, — გვიოთხრა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯუმბერ გომიაშვილმა. გეზს იღებენ რა შინაგან რეზერვებზე, მათ ჩამოაყალიბეს სპეციალიზებული საკვებმომპოვებელი ბრიგადები და რგოლები, უზრუნველყვეს ისინი ტექნიკით, გამოუყვეს სათიბები. და აი შედეგი: ფერმები პრაქტიკულად უზრუნველყოფილია სრულფასოვანი ფურაჟით, მომარაგებული აქვთ 14.600 ტონა უხეში საკვები, რაც გეგმაზე ლამის ორჯერ მეტია.

დაყრდნობით

ფართოდ იყენებენ რა შინაგან რესურსებს, კასპის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შეასრულეს ხილის დამზადების წლიური გეგმა. დასახული 16.040 ტონის ნაცვლად დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარეს 17 ათას ტონაზე მეტი ხილი. მოკრეფილი მოსავალი ოპერატიულად ეგზავნებათ მომხმარებლებს — რესპუბლიკის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, საერთო საკავშირო ფონდში. (საქინფორმი).

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ ინდოელ ჟურნალისტებს

21 ნოემბერს ინდოეთში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ინდოელ ჟურნალისტებს — ინდოეთის ტელევიზიის მომომზადებელს ს. ნაკვის, პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს ა. ბალუს, ოუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტს კ. გ. ჯოგლეკარსა და სრულიად ინდოეთის რადიოს გენერალურ დირექტორს ჰარიშ ავასთხის — და უპასუხა მათს კითხვებს.

სურათზე: მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ ინდოელ ჟურნალისტებს.

ი. ლიზუნოვისა და ა. ჩუმიჩევის ფოტო. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

მ. ს. გორბაჩოვი. უწინარეს ყოველისა, მინდა ვთქვა, რომ დიდი ინტერესით ველი ინდოეთთან შეხვედრას.

საბჭოთა ადამიანებს ინდოეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ინდოელი ხალხი მიგვაჩნია ძველ მეგობრად, საამქვეო პარტნიორად, და. ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, თუ როგორ ითანრდება ჩვენი ურთიერთობა. ითქვამს და მინდა ერთხელ კიდევ თქვა: ინდოეთთან ურთიერთობას ჩვენს საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული ადგილი უკავია. ამავერ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხელმძღვანელობის საგარეო პოლიტიკა ინდოეთის მიმართ ითვალისწინებს ღრმა მეგობრულ გრძნობებსაც, რომლებითაც ჩვენი ხალხები ეკიდებიან ინდოელ ხალხს.

ჩვენ, მეორე მხრივ, მოდამ გრძნობთ, რომ ინდოეთის მთავრობა თავისი პოლიტიკით ისწრაფვის გამოხატოს ინდოეთის საზოგადოების, ინდოელი ხალხის უდიდესი გრძნობები ჩვენი ხალხისადმი, ჩემი აზრით, ეს ჩვენი ურთიერთობის უმთავრესი, უმტკიცესი საფუძველია: ტრადიცია, ათასი წლის მეგობრობა, თანამშრომლობა ორმხრივ საქმეებსა და საერთაშორისო საქმეებში.

და, ბოლოს, გვაქვს ამ ურთიერთობის ისეთი სამართლებრივი საფუძველი, როგორიც 1971 წლის ხელშეკრულებაა. დღეს მინდა თქვა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ურთიერთობის განმტკიცებას ერთ ფაქტორს ასრულშიც, ახლაც და ვიმედოვნებ, ასე იქნება მომავალშიც. ჩვენ ხელმძღვანელობაში მაქვს მუდმივი, ინტენსიური და კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგი, რომელიც ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელებს შორის მიმდინარეობს.

ინდოელი ხალხისადმი პატივისცემა ჰქონდა მხედველობაში ლენინს, როცა გამჭრიახად იწინასწარმეტყველა ინდოეთის როლი საერთაშორისო საქმეებში. ლენინის აზრი ასაზრდოებდა ჩვენს პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოქმედებას ინდოეთის მიმართ. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხელმძღვანელობა მრავალმა თაობამ კარგად იმუშავა იმისათვის, რომ ინდოეთს ჩვენ და თქვენ ეს ურთიერთობა ასეთი სახით გვეხილა.

მინდა გავიხსენო ჯავაჰარლალ ნერუ. ჩვენში უდიდეს პატივს მიგებენ მის ხსოვნას და დიდად ფასობენ მის წვლილს ჩვენი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

საბჭოთა კავშირი და ინდოეთი, სოციალიზმის სამყაროს და ეროვნული განთავისუფლების სამყაროს, განვითარების სამყაროს ეს ორი წარმომადგენელი, უკვე მრავალი ათეული წელია ნაყოფიერად თანამშრომლობენ თავიანთი ხალხების ინტერესებისა და ყველა ხალხის ინტერესებისათვის. ეს კარგი მაგალითია. გვინდა, რომ ეს ურთიერთობა ვითარდებოდეს. და ეს უმთავრესია.

ასე რომ, ველი ინდოეთთან შეხვედრას. ახლა ინდოელი მსმენელებისადმი, მკითხველებისადმი, ელემაყურებლებისადმი ეს ჩემი ოკლე მიმართვა იმით მინდა დაასრულო, რომ გულითადად მივესალმო მათ საბჭოთა კავშირის ველა ხალხის სახელით.

ახლა, მოდით, შევუდგეთ მუშაობას.

კითხვა: ბატონო გორბაჩოვ, ჩვენ ადი ინტერესით ვადევნებდით ალს თქვენს გზას ენინგრიდან �იკავიკამდე. ეს თავისებური ეტაპია. როგორ წარმოგიდგენთ შემდგომი გზა?

მ. ს. გორბაჩოვი. თქვენ ყველაზე მთავარი კითხვა დასვით, როგორც ყველა ჩვენგანს აღელვებს. ეგორებ, სწორედ ერთი წელი გადა ენინგრიის შეხვედრის შემდეგ. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ენინგრიას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. მან საშუალება მოგვცა ერგვედგინა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შეწყვეტილი პოლიტიკური დიალოგი. ეს თავისთავად უკვე მეტად მნიშვნელოვანია. არის დიალოგი — მაშასადამე, არის ერთმანეთის პოზიციათა უკეთ გაგება. არის დიალოგი — მაშასადამე გრძელდება ძიება. ყოველ შემთხვევაში, ეს პირველია, რაც შეიძლება ენინგრის პოზიტიურ ბალანსს მივაკუთვნოთ.

იყო ფრიად მნიშვნელოვანი მორიგებანი. მხედველობაში მაქვს შემაჯამებელი დოკუმენტი, იქ ბათქვამი იყო: ბირთვული ომი დაუშვებელია, ამ ომში შეუძლებელია იყოს გამარჯვებული. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონსტატაციაა. და ეს პასუხია ყველა იმათდამი, ვინც ოცნებობს ან ყოველ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს მცირე, შეზღუდული, ლოკალური ბირთვული ომების შესაძლებლობას. არადა, თუ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები აღიარებენ, რომ ბირთვული ომი დაუშვებელია, ეს იმ ახალი პოლიტიკის შემუშავების ძალზე მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი იქნება, რომელიც ბირთვულ-კოსმოსურ საუკუნეს შეესაბამება.

იქ იყო კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კონსტატაცია: არც ერთი არ ეცდება სამხედრო უპირატესობის მიღწევას. თუ ამ მორიგებას მივყვებით, მაშინ ხომ ყოველ შემთხვევაში ორივე მხარემ უნდა იფიქროს არა იმაზე, თუ როგორ მიაღწიოს სამხედრო უპირატესობას, არამედ იმაზე, თუ როგორ იმუშაოს თანაბარ საფუძველზე განიარაღების საკითხების გადაწყვეტისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ერთგულად იცავდა ვალდებულებებს, რომლებიც ენინგრაში იკისრა.

მინდა ეს დავადასტუროო ზოგიერთი ფაქტით. ეს უნდა ითქვას, რადგან მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ენინგრის შემდეგ გავახანგრძლივეთ მორატორიუმი. 15 იანვარს მთელ მსოფლიოს შევთავაზეთ 15 წლისათვის გათვალისწინებული ბირთვული იარაღის ეტაპობრივი შემცირებისა და 2000 წლისათვის მისი ლიკვიდაციის ვრცელი პროგრამა. გარდა ამისა, ენინგრის შემდეგ ჩვენი წინადადებები შეიცავდა, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან იდეებს გამალებულ შეიარაღებასთან ბრძოლის სხვა საკითხებზეც. მხედველობაში მაქვს სტოკჰოლმი: იქაც შევიტანეთ კონსტრუქციული წინადადებანი. და ამან საშუალება მოგვცა, წარმატებით დაგვემთავრებინა ეს დიდმნიშვნელოვანი ფორუმი. დიდად ვაფასებ მას. ჩვენ, შემდეგ, სეროიზულად შევუშუკეთ ხელი ქიმიური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციის შესახებ მორიგებებისაკენ წინსვლას.

ყოველივე ეს ენინგრის შემდეგ იყო.

და, ბოლოს, ამ ზაფხულს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად წამოვაყენეთ ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საგულისხმო წინადადებანი. დასახეულმა ინდოელ ხალხ ისიც ეცოდინებოდეს, რომ ინდოეთი ამ ინიციატივებს ეხმიანებოდა. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ინდოეთს. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ინდოეთს. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ინდოეთს

მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ ინდოელ ჟურნალისტებს

(დასასრული)

ათობით საწარმოა ამ თანამშრომლობის ცოცხალი სიმბოლო, მისი ეფექტიანობის საუკეთესო არგუმენტი. ჩვენ გვაქვს მრეწველობის უახლესი მიმართულებებით თანამშრომლობის პერსპექტივა.

სსრ კავშირში დიდი პროგრამები ხორციელდება ინფორმატიკის, გამოთვლითი ტექნიკის, მანქანათმშენებლობის დარგში. ესეც აფართოებს ინდოეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს. დიახ, ჩვენ ამ მხრივ ზოგიერთ საკითხს გადაეწყვეტი ვიზიტის დროსაც. ჯერჯერობით მეტს არაფერს ვიტყვი.

ჩვენ შუდამ დიდი პატივისცემით ვეკიდებოდით ინდოელი ხალხის ბრძოლას თავისთავადობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, მხარს ვუჭერდით მის მშვიდობისმოყვარულ კურსს და შუდამ ვიზიარებდით მის ზრუნვას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ფართოდ ვითარდება ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა, კულტურული კონტაქტები, ტურიზმი, ეს აახლოებს ხალხებს, განამტკიცებს მათს მეგობრობას.

წარმოიქმნა გარკვეული პრობლემები საქონლებრუნვაში, ვაჭრობაში, მაგრამ ახლა საბჭოთა და ინდოეთის მხარეც მოქმედებენ კონსტრუქციულად და საქონლებრუნვა განიზრდება.

ვფიქრობ, ჩვენს თანამშრომლობას, საერთოდ საბჭოთა კავშირ-ინდოეთს ფეგობრობას, ჩვენი ქვეყნების ხელმეკრულების საკითხს, რომელიც დაიდო 15 წლის წინათ. უნდა მივიჩნიოთ თუ არა ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვან დოკუმენტად თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მიხედვით?

მ. ს. გორბაჩოვი. დიახ, ვფიქრობ, რომ ეს ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა სცილდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის ფარგლებს.

რა თქმა უნდა, როცა ვდებდით თქვენს ქვეყანასთან მეგობრობის ხელშეკრულებას, უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობდით საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ინტერესებზე. ეს გასაგებია. მაგრამ ამავე დროს თანამშრომლობის განვითარება ამ ხელშეკრულების ბაზაზე და ის მიჯნები, რომლებზეც გავედით მისი რეალიზაციის დროს, დღეს შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს ურთიერთობა, მაშასადამე, ხელშეკრულებაც კარგი მაგალითია სხვა ქვეყნებისათვის. ახლა, როცა ვლაპარაკობთ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზების ძიებაზე, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცებაზე, თანამშრომლობის ასეთი მაგალითი, სახელმწიფოთა ურთიერთობის ასეთი მაგალითი დიდი საერთო-საკაცობრიო მონაპოვარია.

რამდენიმე წელია ძალზე ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ, და არც ჩვენ დაგვიკარგავს დამოუკიდებლობა, არც ინდოეთს არ დაუკარგავს, არაფერი დაუთმია თავის დამოუკიდებლობაში. ბევრი რამ კი შევიძინეთ. და ჩვენი ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკის მძლავრი ფაქტორი გახდა.

ხელშეკრულება ისტორია როდია. ეს არის დღევანდელი დღეც, ეს არის ჩვენი დღეების, ჩვენი დროის ცოცხალი პრაქტიკაც.

კითხვა: ბატონო გენერალურო მდივანო, თქვენ ილაპარაკეთ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობაზე. მაგრამ მინდა ვიცოდე, რას შემოგვთავაზებდით ჩვენი ქვეყნების უფრო მჭიდრო ეკონომიკური და მეცნიერული თანამშრომლობისათვის?

მ. ს. გორბაჩოვი. მოდით ჩვენ ეს კითხვა დელესათვის შემოვინახოთ. და, როცა ყველაფერს გავიხილავთ ბატონ განდისთან ერთად, მოვალთ თქვენთან და ყველაფერს გიამბობთ. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მით უფრო საინტერესო იქნება თქვენთვის, თუ ორივე მხარე ვეტყვით, რაზე შეთანხმდით. ვიმედოვნებ, იქნებით პრესკონფერენციაზე, და მოდით აქვე შევთანხმდეთ, რომ ამ კითხვას იქ დამისვამთ.

კითხვა: სკკპ XXVII ყრილობაზე თქვენ ბრძანეთ, რომ საბჭოთა კავშირი ავღანეთიდან წასვლას აპირებს. შემდეგ ვლადივოსტოკში გამოაცხადეთ, რომ გამოგყავთ საბჭოთა ჯარების გარკვეული ნაწილი. როგორ აფასებთ ავღანეთის ვითარებას ამ მომენტში?

მ. ს. გორბაჩოვი. ჩვენ ყოველთვის კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა ავღანეთთან ყველა რეჟიმისა და ყველა მთავრობის დროს. ეს ურთიერთობა ამჟამადაც არის. როგორც წინათ, ისე ახლაც ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ორი პრინციპული მომენტი: ეს არის მეზობელი ქვეყანა, რომელთანაც 2,5 ათასი კილომეტრი საერთო საზღვარი გვაქვს. ბუნებრივია, მეზობლებთან მუდამ კარგად უნდა ცხოვრობდე. და მეორე, — ეს არის ხალხი, რომელიც თავისი არჩევნის ხორცშესასხმელად გარდაქმნათა გზას დაადგა. ეს მისი უფლებაა.

ავღანეთში არ ვაპირებთ ვიქონიოთ რაიმე ბაზა, არა გვაქვს იქ ნედლეულის წყაროები. მოვლენები იქ მარტივად არ ვითარდება. მიზეზები ჩვენც ვიცით და თქვენც.

თავის დროზე ჩვენ გამოვეხმაურეთ მოწოდებას დავხმარებოდით ავღანეთს და დროებით, მისი მთავრობის თხოვნით, იქ ჯარები შევიყვანეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ სამუდამოდ იქ დარჩენას. და საეჭვოა ამას დაეთანხმონ ავღანელი ხალხი და მისი მთავრობა.

ჩვენ ავღანეთის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების მომხრენი ვართ. ავღანეთის მთავრობაც ასევეა გაწყობილი. ის, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით კეთდება — მხედველობაში მაქვს კორდოვეისის მისია — რეალური პროცესია. იგი შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს და მოჰყვეს პოლიტიკური მოწესრიგება, თუ რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოწესრიგების მომხრენი იქნებიან პაკისტანიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც. ჯერჯერობით კი ვხედავთ, რომ, როგორც კი მოწესრიგებაში პროგრესი დაისახება, ისინი მაშინვე ცდილობენ მის ჩაშლას. ჩემი აზრით, მიუხედავად ამისა, შორს არ არის ის დღე, როცა გადაწყდება ავღანეთის სიტუაციის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხი. ეს ამავე დროს ნიშნავს ავღანეთიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის საკითხის გადაწყვეტასაც.

ჩვენ მოუმხრობელი, დამოუკიდებელი ავღანეთის მოხრე ვართ. და კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: არავითარი ექსპანსიონისტური ზრახვები არ გვამოძრავებს ავღანეთის მიმართ. ეს აბსოლუტურად ცხადი უნდა იყოს მთელი მსოფლიოსთვის.

კითხვა: მთელ მსოფლიოში ახლა უდიდეს ინტერესს იჩენენ გარდაქმნებისადმი, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ახორციელებთ. მთელ რიგ გამოსვლებში ეს გარდაქმნები დაახასიათეთ როგორც რევოლიუციის ტოლფასი. უფრო დაწრილებით ხომ არ შეეხებოდით ამას?

და კიდევ როგორც ამ კითხვის, ამ უფრო ფართო კითხვის დამატება, მინდა ვთქვა შემდეგი: გუშინ შევიტყვე, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მიიღეს კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. რა მხრივ განსხვავდება ახლანდელი თქვენი ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკისაგან, რომელსაც ლენინი ადგა? რამდენად იღება მაგალითს ახალი ეკონომიკური პოლიტიკიდან, რომელსაც ლენინი ახორციელებდა?

მ. ს. გორბაჩოვი. სოციალიზმმა ჩვენი ქვეყანა იმ დონეზე აიყვანა, რომელზეც ახლა იმყოფება. ეს არის თანამედროვე ქვეყანა, რომელმაც ბევრი საკითხი გადაწყვიტა სწორედ სოციალისტური გარდაქმნების დროს, აქვს უდიდესი პოტენციალი, რათა წარმატებით განაგრძოს თავისი წინსვლა, განავითაროს ეკონომიკა, გადაწყვიტოს სოციალური საკითხები, ერთაშორის საკითხები, ჰქონდეს საიმედო თავდაცვა და შეიტანოს წვლილი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მშენებლობაში.

ჩვენ ხელს გვაძლევს ჩვენი ტერიტორია. იგი გვყოფნის, თუმცა არც ზედმეტი გვაქვს. ჩვენში ძალიან შეკავშირებული ხალხია, რომელსაც ფრიად განვითარებული პატრიოტიზმის, სიამაყის გრძნობა აქვს. რადგან ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში გაკეთდა, ხალხის ნახელავია.

მაგრამ ჩვენ უკვე ისევ უკმაყოფილონი ვართ. რატომ? უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მეტს გაკეთება შეგვიძლია. ჩვენში შექმნილია მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი, გვაქვს მძლავრი მეცნიერება. იქნებ, მსოფლიოში უმძლავრესიც. კვანძში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ეს ჩემი შეფასება კი არა, უფრო მსოფლიოში არსებული შეფასებაა. ჩვენ კარგი საკადრო პოტენციალი გვაქვს. ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობა ძირითადად საშუალო და უმაღლესი განათლებისაა, მიგვაჩნია, რომ, თუ გამოვიყენებთ სოციალისტური გეგმიანი ეკონომიკის შესაძლებლობებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ საჭირო მანევრი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინტერესებისათვის, სწორი პროპორციების, პრიორიტეტების განსაზღვრაში, საზოგადოების სოციალური სფეროს განვითარებაში, შეიძლება გადავდგათ ახალი დიდი ნაბიჯი წინ. ჩემი აზრით, ამ რამდენიმე ხნის წინათ ცოტა არ იყოს დავმშვიდდით. გაჩნდა გულარხეინობის, ინერტულობის ელემენტები. ეს თითქოსდა ჩვენი მონაპოვრების, ჩვენი საზოგადოების პოზიტიური თვისებებისა და ნიშნების — შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა უფლებების განგრძობა იყო. ჰოდა, გაჩნდა დამშვიდების ელემენტები.

ყოველივე ამას შეფასება მოვეცით ჩვენს ყრილობაზე.

სწორადაც მოვიქეცით. თვით საზოგადოებაში იყო დაუკმაყოფილებლობის გრძნობა იმით, თუ როგორ ფუნქციონირებენ ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტები, სოციალისტური დემოკრატია, დაუკმაყოფილებლობა კოლექტივებში შექმნილი ატმოსფეროთი. პარტიამ, როცა გარდაქმნა დაიწყო, მის პოლიტიკას დიდად დაუჭირა მხარი ხალხმა, რადგან მან გამოხატა ადამიანთა განწყობილება. ეს არის საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დაჩქარების, გარდაქმნის პოლიტიკა სოციალიზმის ფარგლებში, სოციალისტურ ბაზაზე. ერთი სიტყვით, იმის საფუძველზე, რასაც სამოცდაათი წლის განმავლობაში მივაღწიეთ, გარდავქმნათ საზოგადოება სრულყოფის, უკეთესი თვისებრივი მდგომარეობის მიმართულებით.

ჩვენი მთავარი ჩანაფიქრი ის არის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და გეგმიანი ეკონომიკის შერწყმის, საზოგადოების დემოკრატიზაციის მეშვეობით ავამოძრაოთ იგი, გამოვიყვანოთ საზოგადოება ახალ მიჯნებზე.

ჩვენ უკვე შევადგინეთ და ვახორციელებთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგის ფრიად სერიოზულ პროგრამებს. ისინი მოიცავენ ყველა დარგს. პრიორიტეტს ვანიჭებთ მანქანათმშენებლობას, გამოთვლით ტექნიკას, ვცვლით სტრუქტურულ პოლიტიკას. მაგრამ ჩვენი გეგმებისა და პოლიტიკის ბედისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნება იმის, როგორ ჩავბამთ ადამიანს, მშრომელს ამ პროცესში. ეკონომიკაში გვინდა ამას მივაღწიოთ სამეურნეო ანგარიშის მეშვეობით, საწარმოო კოლექტივების თვითმმართველობის მეშვეობით, ხელმძღვანელი კადრების არჩევითობის გაფართოების, ახალი სამეურნეო მექანიზმის მეშვეობით. დამთავრების სტადიაშია ახალი კანონი საწარმოს შესახებ. მას გამოვიტანთ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. კანონში ჩამოყალიბებული იქნება, თუ როგორ უნდა ფუნქციონირდეს ეკონომიკა ახლანდელ პირობებში. აქ მთავარი მიმართულებაა საწარმოო ცხოვრების დემოკრატიზაცია, შრომითი კოლექტივების მეტი დამოუკიდებლობა და მათი მეტი პასუხისმგებლობა.

ასეთი მდგომარეობა მიესალმებიან საბჭოთა ადამიანები. პროცესი უკვე მიმდინარეობს.

შემდეგ გვინდა, რომ უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებდეს პოლიტიკური სისტემა, მათ შორის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი, ქალთა ორგანიზაციები და სხვები.

ადამიანის ფაქტორის ამოქმედებას ვაპირებთ აგრეთვე მშრომელთა ინტერესებისათვის სოციალური პოლიტიკის სერიოზული შეცვლის გზით. მე ვიტყოდი, რომ ახლა სოციალური პოლიტიკის გაძლიერება საზოგადოებაში ბევრი საკითხის გადაწყვეტის გასაღებია.

უნდა ვთქვა, რომ გარდაქმნა იოლად არ მიმდინარეობს. და უმთავრეს დაბრკოლებას ახროვნებაში ვაწყდებით. საჭიროა წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიის გარდაქმნა და ჩვენ ვქმნით ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წინამძღვრებს, რომლებიც გვაიძულებს, რომ აქ პროცესი გაიმარჯვებს. ჩვენ უზრუნველვყოფთ საზოგადოების ყველა სფეროს გარდაქმნას.

არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ საზოგადოებაში სულიერი სფეროს, კულტურული სფეროს, მორალური ატმოსფეროს გაჯანსაღების საკითხებს. ჩვენი ხალხი ძლიერ ესწრაფვის სამართლიანობას, იმას, რომ თანამიმდევრულად სრულდებოდეს სოციალიზმის ბედისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნება იმას, როგორ ჩავბამთ ადამიანს, მშრომელს ამ პროცესში. ეკონომიკაში გვინდა ამას მივაღწიოთ სამეურნეო ანგარიშის მეშვეობით, საწარმოო კოლექტივების თვითმმართველობის მეშვეობით, ხელმძღვანელი კადრების არჩევითობის გაფართოების, ახალი სამეურნეო მექანიზმის მეშვეობით. დამთავრების სტადიაშია ახალი კანონი საწარმოს შესახებ. მას გამოვიტანთ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. კანონში ჩამოყალიბებული იქნება, თუ როგორ უნდა ფუნქციონირდეს ეკონომიკა ახლანდელ პირობებში. ეს ეკონომიკა ახლანდელ პირობებში. ეს ეკონომიკა ეფუძნება ნაკლები მისცეს საზოგადოებას და რაც შეიძლება მეტი გამორჩეს მას. არადა, უკვე რამდენი წელია მათზე ვლაპარაკობთ და ახლაღა შევუდექით იმას, რომ ნამდვილად მოვკითხოთ მათ“.

პასიური, უგერგილო მუშაობით უნდა აიხსნას, რომ ექვსი და ცხრა თვის საქონლებრუნვის გეგმები ვერ შეასრულა რაიკოოპერატივის ხელმძღვანელ ო ბ ამ. მოსახლეობას დააკლეს 837 ათასი მანეთის მომსახურება. ამას ემატება ისიც, რომ მთელ რიგ ობიექტებში ადგილი აქვს დარღვევებს, დამახინჯებებს და უსუფლეულო მომსახურებას. სამწუხარო ის არის, რომ როგორც საავჭრო, ასევე საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არ იგრძნობა გარდაქმნის პირველი ნაბიჯებიც კი. გამოდის, რომ ამ სფეროს ადამიანებთან განსაკუთრებ ი თ დიდი მუშაობის წარმართვა მოგვიხდება. თანამედროვე ადამიანი სულიერად ვეღარ ეგუება ძველმოდურს, რუტინას, უყურადღებობას, უგემოვნებას, მდარე ხარისხის ნაწარმსა და ცუდ მომსახურებას, ვერც მივცემთ ასეთი რეციდივების უფლებას. ჩვენ მუდამ ქებით ვიხსენებთ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა თავდადებულ შრომას, ისინი პლანტაციებში სასწაულს ახდენენ. რატომ არ უნდა გაზაროდნ პასუხისმგებლობა მომსახურების სფეროს მუშაკებმა? ასეთი საკითხების გადაწყვეტას შემდეგში მეტ ყურადღებას მივაქცევთ.

ამას წინათ პარტიის რაიკომმა შეისწავლა და თავის ბიუროს სხდომაზე განიხილა მოსახლეობასთან ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ეს საკითხი ზოგიერთ სოფელში, მათ შორის ჩხუტუნეთისა და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებში, ქედქედის საშუალო სკოლაში თვითდინებაზე იყო მიშვებული. დახმარებას არავინ უწევდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სასოფლო საბჭოები არ აქტიურობენ გზებისა და სოფლების კეთილმოწყობის საქმეში. ამ საკითხებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყველასათვის ნათელია. მოსახლეობის სოციალური, ესთეტიკური, მატერიალური საკითხების გადაწყვეტა პარტიის უპირველესი ამოცანაა. რა თქმა უნდა, გარდაქმნა ამ სფეროშიც უნდა იგრძნობოდეს.

ცხოვრება წინ მიდის, ამოცანები სულ უფრო მასშტაბური ხდება, ამდენად პარტიის რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმე და საზრუნავი მატულობს. გარდაქმნის დიდსა და სახელმწიფოებრივ გზაზე პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ჩვენ მას თვალსაჩინოს გავხდით როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ სფეროში.

ნ. გოგიტიძე.

საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი.

ჰარტიული ცხოვრება: გარდაქმნის წახნაგი და შედეგი

შემოვაბრუნოთ საზოგადოება ახალი ამოცანებისაკენ, თითოეული შრომითი კოლექტივის ენერგია და პოტენციალი მივმართოთ მათ გადასაწყვეტად! — ასეთია პარტიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყოველმხრივი დაჩქარების მთავარი დევიზი. როცა ჩვენ წინაშე რთული პრობლემები წამოიჭრება, კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებს და იქ ყოველთვის ვპოულობთ ჩვენი ამოცანების უკეთესად გადაწყვეტ ი ს გზებს. თუ როგორ უნდა მოვაწყოთ მასებთან დიალოგი, რა-გორ დავრაზმოთ ისინი მთავარი მიზნის გადასაწყვეტად, ამის საუკეთესო მაგალითია ამხან ა გ მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა კინოდარისა და სტავროპოლის მხარეების მშრომელებთან. პარტიის გენერალურმა მდივანმა პირდაპირ და გულახდილად თქვა, რომ „ბოლო წლებში ჩვენ ყველაფერი ისე როდი გვქონდა, როგორც საჭირო იყო... ამიტომ რაც დავიწყეთ ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ განვაგრძობთ. როცა ვამბობთ გ ა ნ ვ ა გრძობთ-მეთქი, მხედველობაში მყავს ცენტრალური კომიტეტიც, მთავრობაც და თქვენც, მშრომელები, რადგან მშრომელებს სჭირდებათ სწორი, მართალი პოლიტიკა“. რამდენი რამ არის ნათქვამი ამ სიტყვებით! ისინი ჩვენი შემდგომი მუშაობის შეაჯუთხედი ხდება.

თანდათანობით იხვეწება პარტიული მუშაობის დაგეგმვის პრაქტიკა. პარტიის რაიკომი დღეს მეტ ყურადღებას აქცევს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებათა კოორდინაციას, რაც გამორიცხავს პარალელიზმსა და ღუბლირებას. პრაქტიკული ღონისძიებები განხორციელდა წერილობითი ინფორმაციის ნაკადის შესამცირებლად. მნიშვნელოვნად იკლო თათბირებისა და სხდომების რაოდენობამ, სხვადასხვა კომისიების, შტაბების, სამუშაო ჯგუფების რიცხვმა. სამაგიეროდ გაიზარდა რაიკომის თითოეული მუშაკისადმი მომთხოვნელობა მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მთავარი მოთხოვნაა აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვა, პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება და ეკონომიკის მართვაში პროგრესული მეთოდების შემოღება. ამ მხრივ ხელვაჩაურის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ცოტა რამ როდი გაკეთდა. მასობრივად დაინერგეთ კოლექტიური იჯარის ფორმა. ამჟამად 510 დანაყოფი მუშაობს ამ მეთოდით. უნდა ითქვას, რომ კოლექტიურმა იჯარამ დიდი ეკონომიკური ეფექტი გამოიღო. ცალკეული მეურნეობები ამ სიახლეს შემოქმედებითად უდგებიან, რასაც მრავალფეროვნება მოჰყვა. ვიქებთ უკეთეს გზებსა და საშუალებებს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

გონიოს საბჭოთა მეურნეობა ტერიტორიულად და მუშახელით დიდი არ არის, ეკონომიკური მაჩვენებლებითაც სხვა საბჭოთა მეურნეობებისაგან აღრე მაინც-დამაინც არ გამოირჩეოდა. ბოლო ათწლეულში მეურნეობაში ნამდვილი გარდატეხა მოხდა. ახლა აქ სარეკორდო მოსავალი მოჰყავთ — ჰექტარზე საშუალოდ 25-30 ტონა ციტრუსი. გარდატეხა მოახდინეს სოციალურ სფეროშიც. ააშენეს 3 საცხოვრებელი სახლი, შენდება მეოთხე. მალე კომფორტული ბინის გარეშე არ დარჩება არც ერთი ოჯახი.

პასუხისმგებლობის ზრდა მთავარი რეზერვია

ყოველი მეციტრუსის საშუალო გამომუშავება თვეში 250-300 მანეთია. მთელ რაიონში გონიოელთა ფერმა ერთადერთია, რომელიც რენტაბელურად მუშაობს. ბუნებრივად ისმება კითხვა, როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებებს? მეციტრუსეობაში ჯობა ინდივიდუალურმა იჯარამ. კოლექტივში შეიმუშავა პლანტაციების დამუშავების ბადური სისტემა, რასაც მოჰყვა მატერიალური სტიმულირება. როცა მუშა დარწმუნდა, რომ მისი შრომა კარგად ანაზღაურდება, ბაღს შვილივით ევლება თავს. გონიოელთა საამაყოდ ერთ ფაქტსაც უნდა გაეცალა ხაზი. მეურნეობას მთლიანად ამოეწურა სავარგულები, ცხოვრება კი ვერ ითმენს ერთი ადგილის ტკეპნას. მათ გამონახეს გზა. ზღვასა და მეურნეობას შორის ჭაობი იყო, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა. საკუთარი ძალებით შეუტიეს ჭაობს, დააშრეს არხებით, შეზიდეს ნაყოფიერი მიწა და ნაჭაობარზე 4 ჰექტარი ისეთი ლიმონარიუმი გააშენეს, როგორც იტყვიან, ავთვალს არ ენახვება.

აი კიდევ ერთი მაგალითი. აბობოქრებულ ჭოროხს კახაბრის ვეზე უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდა, შეიჭრებოდა ყანებში და ანადგურებდა, მთა-გორებსაც არღვევდა, მოსახლეობას სახლკარს უგრავდა. მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ლ. მჭედლიშვილს გაბედული აზრი დაებადა — შეეთოკა მდინარე, შეეზღუდა მისი კალაპოტი და წაერთმია სავარგულები. მახოელთა მიერ დაწყებული საქმე გაგრძელეს თხილნარელებმა, ჭარიალელებმა, ერგელებმა, ანგისელებმა და ასე კოლექტიური შრომობენ თუ ჩარხთან ან მშენებლობის ხარაჩოებზე დგანან. ის ელემენტარული ჭეშმარიტებაც ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი საქმის გადაწყვეტას დიდი ენერგია სჭირდება. და იმ უამინდოობისა და ცუდი ვეგეტაციის პირობებში ჩვენმა ხალხმა სწორედ დიდი ენერგია, ენთუზიაზმი და მოთმინება გამოამჟღავნა.

უნდა მოგვეკიფა 22.100 ტონა ჩაისხოვანი ჩაის ფოთოლი. ხელვაჩაურის რაიონში ჩაი ძირითადად მთებშია გაშენებული. რელიეფური სირთულე მოსავლიანობასაც თავისებურად მოქმედებს. მიუხედავად ამისა, გეგმების შესრულება სხვა სოფლებზე აღრე ქვეყანას სწორედ მთის სოფლებმა უპატაკეს.

მეჩაიეობაში ერთ-ერთი სატკივარი ისიც იყო, რომ დისპროპორცია გვქონდა წარმოებასა და გადამუშავებას შორის. მოზღვავებულ ნედლეულს ვერ აუდიოდა სიმძლავრეები. ამ მიზეზით იკარგებოდა მწვანე ფოთოლი. გარდაქმნისა და გადაიარაღ ე ბ ი ს მხრივ 1986 წლის სეზონისათვის ბევრი რამ გავაკეთეთ. გაიზარდა გონიოს, ურეხის, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეები, დამონტაჟდა ახალი ხაზები. მახოს კოლმეურნეობამ ააგო მიკროფაბრიკა. იგი არა მარტო მახოელებს, მეზობელი კოლმეურნეობების მჭაიეებსაც ემართავს ხელს. ასეთმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

დასამალი როდია, ადგილებზე ჯერ კიდევ გვხვდებიან უპასუხისმგებლო, უინიციატივო, არაკომპეტენტური მუშაკები, რომლებიც კუდში მიჰანჩალებენ, თავს არიდებენ სიახლეებს, გაბედულ გადაწყვეტას. სწორედ ასეთებზე თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივთან შეხვედრებისას. „არიან ადამიანები, ვისაც უნდა რაც შეიძლება ნაკლები მისცეს საზოგადოებას და რაც შეიძლება მეტი გამორჩეს მას. არადა, უკვე რამდენი წელია მათზე ვლაპარაკობთ და ახლაღა შევუდექით იმას, რომ ნამდვილად მოვკითხოთ მათ“.

პასიური, უგერგილო მუშაობით უნდა აიხსნას, რომ ექვსი და ცხრა თვის საქონლებრუნვის გეგმები ვერ შეასრულა რაიკოოპერატივის ხელმძღვანელ ო ბ ამ. მოსახლეობას დააკლეს 837 ათასი მანეთის მომსახურება. ამას ემატება ისიც, რომ მთელ რიგ ობიექტებში ადგილი აქვს დარღვევებს, დამახინჯებებს და უსუფლეულო მომსახურებას. სამწუხარო ის არის, რომ როგორც საავჭრო, ასევე საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არ იგრძნობა გარდაქმნის პირველი ნაბიჯებიც კი. გამოდის, რომ ამ სფეროს ადამიანებთან განსაკუთრებ ი თ დიდი მუშაობის წარმართვა მოგვიხდება. თანამედროვე ადამიანი სულიერად ვეღარ ეგუება ძველმოდურს, რუტინას, უყურადღებობას, უგემოვნებას, მდარე ხარისხის ნაწარმსა და ცუდ მომსახურებას, ვერც მივცემთ ასეთი რეციდივების უფლებას. ჩვენ მუდამ ქებით ვიხსენებთ მეჩაიეთა და მეციტრუსეთა თავდადებულ შრომას, ისინი პლანტაციებში სასწაულს ახდენენ. რატომ არ უნდა გაზაროდნ პასუხისმგებლობა მომსახურების სფეროს მუშაკებმა? ასეთი საკითხების გადაწყვეტას შემდეგში მეტ ყურადღებას მივაქცევთ.

ამას წინათ პარტიის რაიკომმა შეისწავლა და თავის ბიუროს სხდომაზე განიხილა მოსახლეობასთან ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ეს საკითხი ზოგიერთ სოფელში, მათ შორის ჩხუტუნეთისა და ჩიქუნეთის კოლმეურნეობებში, ქედქედის საშუალო სკოლაში თვითდინებაზე იყო მიშვებული. დახმარებას არავინ უწევდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სასოფლო საბჭოები არ აქტიურობენ გზებისა და სოფლების კეთილმოწყობის საქმეში. ამ საკითხებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყველასათვის ნათელია. მოსახლეობის სოციალური, ესთეტიკური, მატერიალური საკითხების გადაწყვეტა პარტიის უპირველესი ამოცანაა. რა თქმა უნდა, გარდაქმნა ამ სფეროშიც უნდა იგრძნობოდეს.

ცხოვრება წინ მიდის, ამოცანები სულ უფრო მასშტაბური ხდება, ამდენად პარტიის რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმე და საზრუნავი მატულობს. გარდაქმნის დიდსა და სახელმწიფოებრივ გზაზე პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ჩვენ მას თვალსაჩინოს გავხდით როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ სფეროში.

ნ. გოგიტიძე.

საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი.



„ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების პროდუქციას შეხვდებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ქართული ელმავლები სერავენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ფოლადის მგზავრებს და დიდი მოთხოვნითაც სარგებლობენ. გაერთიანების კოლექტივს მაღალი მიჯნები აქვს დასახული მეთორმეტე ხუთწლედისათვის.

საწარმო მომავალი წლიდან გადადის პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე. დგება მეტად პასუხსაგები პერიოდი და ელმავალმშენებლები იმედოვნებენ, რომ არ შეირცხვენენ თავს. ახლებურად მუშაობისათვის განხორციელდა და ხორციელდება მრავალი ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიება, გადაისინჯა და დამტკიცდა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, შესრულდა სხვა სამუშაოები. გაერთიანებაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სურათზე: (მარცხნიდან) ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქროს ოსტატი დავთ კიკოლაშვილი და მექანიკური უბნის ბრიგადირი, ხარატი მერაბ დარბაიძე.

ა. საპაკოვის ფოტო.

დიდი ანაზღაურების წყაროები

სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კადრების მომზადებასთან, სამუშაო ადგილების დაკომპლექტებასთან, დენადობის შემცირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა არ არის იოლი საქმე, მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელია. სამუშაო ადგილების ადამიანებით დაკომპლექტების, მათი შენარჩუნების საკითხები პირდაპირ არის დამოკიდებული შრომის ანაზღაურებაზე, მუშაობის პირობებზე და იმაზე, თუ როგორი ხელმძღვანელი მართავს საქმეს. თუ ამ საკითხებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, შევისწავლით, ღრმად გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ კადრების დენადობა შეიძლება მინიმუმამდე შემცირდეს.

კადრების დენადობის საკითხი შრომის ანაზღაურებასთან კავშირით უნდა განვიხილოთ. ეს ეხება როგორც მუშაობა, ისე სპეციალისტთა კატეგორიებს. ხშირად ამბობენ, სანარდო ანაზღაურებაზე მყოფ მუშაკებს დიდი ხელფასი აქვთო, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. თუ წესრიგშია სანორმატივო მეურნეობა, გამომუშავების შესაძლებლობანი არ არის განსაზღვრული. აქვე დავძენ, რომ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი შედგება ორი ნაწილისაგან — თვით სატარიფო ხელფას

ახალი ამბები

◆ **საბჭოთა** კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1793“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამთვლელთა ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

◆ **თბილისში** მუშაობა დაამთავრა ეკონომისტთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეკონომიკური პრობლემები.

◆ **თბილისს** № 55 აფთიაქი სთავაზობს თავისი რაიონის — გლდანის რაიონის მცხოვრებლებს მომსახურების ახალ ფორმას. აფთიაქის ფარმაცევტებმა უახლოეს პოლიკლინიკებთან — მოზრდილთა და ბავშვთა პოლიკლინიკებთან საქმიანი შეთანხმება დადეს. თუ საჭიროა, უბნის ექიმს წამლის შეკვეთა ტელეფონით შეუძლია.

ვთქვათ, ავადმყოფი მარტოხელაა, ან მარტოხელა სასწრაფოდ სჭირდება, ამ მომენტისათვის კი რეცეპტის წამლები არავინ არის, მაშინ ცნობათა ბიუროში მიიღებენ შეკვეთას. თუ წამალი არ აღმოჩნდა, უკავშირდებიან სხვა აფთიაქებს და დროულად აწვდიან მას ავადმყოფს. საქმის, ასე ვთქვათ, საორგანიზაციო მხარეს საშუალოდ ნახევარ საათზე მეტი არ ხმარდება. ამ შემთხვევისათვის არის სპეციალური მანქანა. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — ამ მომსახურებას დამატებითი გადასახადი არ სჭირდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ლევ დიმიტრის ძე **რიაბეკი** დანიშნა სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ეფვთიმე პავლეს ძე **ლავსკი** გაათავისუფლა სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

აქტუალური ინტერვიუ

ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თენგიზ ბუაჩიძე მონაწილეობდა კულტურის საბჭოთა ფონდის დამფუძნებელ კონფერენციაში, ამა წლის 12 ნოემბერს რომ გაიმართა მოსკოვში. იგი აირჩიეს ფონდის გამგეობის წევრად.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა პროფესორ თ. ბუაჩიძეს.

შეიქმნა კულტურის საბჭოთა ფონდი

— პატივცემულო თენგიზ, თქვენ ახლახან დაბრუნდით მოსკოვიდან, როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?

— ეს იყო უჩვეულო კონფერენცია. დიდებულ სვეტებიან დარბაზში თავი მოიყარა საბჭოთა ინტელიგენციის, შეიძლება ითქვას, ნაღებმა. იქ იყვნენ გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, არქიტექტორები, მსახიობები, რეჟისორები, ჟურნალისტები, მუზეუმების, ძეგლთა დაცვის, წიგნთსაცავების, არქივების, სხვა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები... იყვნენ, ცხადია, პარტიისა და ხელისუფლების ის მოღვაწენი, კულტურის დარგს რომ ხელმძღვანელობენ.

— ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, როგორ მიმდინარეობდა კონფერენცია და როგორია მისი შედეგები. თქვენ თუ იცნობთ პირადად კულტურის საბჭოთა ფონდის ახლადარჩეულ თავმჯდომარეს, აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვს?

— ვიცნობ და ძალიან კარგადაც. ეს ნაცნობობა დაიწყო 1973 წელს, როცა ლენინგრადში, პუშკინის სახლის ძველი რუსული ლიტერატურის სექტორში, რომელსაც უკვე რამდენი წელია უცვლელად ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ლიხაჩოვი, მოეწყო ძველი ქართული ლიტერატურის დღეები. მას შემდეგ ეს ნაცნობობა და ურთიერთობა გრძელდება, იგი თბილისშიც გვეწვია. დიმიტრი სერგის ძე კონსულტაციას მიწევდა, როცა ძველი რუსული ლიტერატურის ძეგლებს ვთარგმნიდი (ორი ტომი უკვე გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა). უნდა გითხრათ, რომ დიმიტრი ლიხაჩოვი ენციკლოპედიური ცოდნის კაცი, მომხიბლავი მოსაუბრეა.

— ხომ ვერ გვეტყვით, რას მოასწავებს, თქვენი აზრით, კულტურის საბჭოთა ფონდის შექმნა ზოგადი თვალსაზრისით?

— უპირველესად, იგი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელთა ღრმა რწმენას, რომ საზოგადოებრიობა ყოველგვარი ჩინონგიკური ბიუროკრატიზმის გარეშე, სრული საჯაროობის პირობებში, შეძლებს ფართოდ გაშალოს ცოცხალი და კეთილშობილური მოღვაწეობა ჩვენი ეროვნული კულტურის სამდიდრეთა თავმოყრის, ათვისებისა და აქტიური გამოყენებისათვის. ეს ფაქტი მოწმობს აგრეთვე, რომ ჩვენი ცხოვრების განვითარებაში დგება ახალი ეტაპი — მსხვილი საზოგადოებრივი კოლექტივების თვითორგანიზაციისა და თვითმართვის ეტაპი, როდესაც ამგვარი ორგანიზაცია კონკრეტულად უძღვება პასუხსაგებ საქმეს, სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლად, ოღონდ მათი შემწეობითა და მხარდაჭერით. და მესამეც, — მან ხელი უნდა შეუწყოს საერთო ზნეობრივი ატმოსფეროს შემდგომ განწმენდასა და ამაღლებას.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ზოგჯერ თვით ჩვენ ვიყავით საზოგადოებრივი საქმის ცუდი ორგანიზატორები, სუსტად ვავლენდით არაორდინარულ აზრთა და მოქმედებათა საარგებლობას. ნაკლებად ვიყენებდით კოლექტივთა ჭეშმარიტ შესაძლებლობებს, ხელს გვიშლიდა ყველაფრის საკმაოდ მკაცრი რეგლამენტაცია და წვრილმანი მეურვეობა. დღეს არ უნდა გვერიდებოდეს ამის აღიარება, არც იმისა, რომ ხანდახან თვით ჩვენ ვნერგავდით საზოგადოებრივი და ინდივიდუალური აზროვნების სტერეოტიპურობას, რომ ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი არა მხოლოდ იმისათვის, რაც დღეს არის და რაც ხვალ იქნება, არამედ იმისთვისაც, რაც გუშინ იყო. ეს არის ერთადერთი ღირსეული ზნეობრივი, ამდენად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია იმათთვის, ვინც პატიოსნად და უკომპრომისოდ მოქმედებს გარდაქმნისა და დაჩქარების დღევანდელ არცთუ უბრალო ვითარებაში. აი, სწორედ ამ ახალი საზოგადოებრივი ზნეობრიობისაკენ უნდა ისწრაფოდეს ყველა, ვინც ნამდვილად არის დაინტერესებული გარდაქმნებით, რომლებიც კარგა ხანია მომწიფება დებულებას განყოფილებების შესახებ. ეს უნდა იყოს დიდი მნიშვნელობის „დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება რეგულირებული ცენტრალური გამგეობისა და განყოფილებათა ურთიერთობა. განყოფილებებს უნდა მიენიჭოს გონივრული ავტონომია, მათ დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეთ, რაც, რასაკვირველია, მუშაობის პროცესში უნდა მოიპოვონ, მაგრამ თავიდანაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ეს პრინციპული საკითხია.

ამასთან დაკავშირებით ნათლად უნდა ითქვას შემდეგი: ახალი საბჭოთა კულტურის შექმნა და განვითარება წარმოუდგენელია ყველა ჩვენი ერისა და ეროვნების კულტურის ღრმა განვითარებისა და ყოველმხრივი აყვავების გარეშე. ეროვნული კულტურის შემთხვევითი, გაუცხობიერებელი ნიველირებაც კი პირდაპირი გზაა ჩვენი საერთო კულტურის გაღარიბებისა და დაკნინებისაკენ. პრინციპში სოციალისტური კულტურა მთელი ხალხის უმაღლესი სულიერება და ზნეობრიობაა. ეს სულიერება და ზნეობრიობა ეყრდნობა ამა თუ იმ ხალხის ათასწლოვან ტრადიციას, გამდიდრებულს ახალი სოციალისტური ელემენტებით. თუ ჩვენ ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კულტურის თეორიის მიხედვით წარსულში ორ კულტურას ვარჩევთ, დღეს კულტურა, როგორც ერის სულიერი ცხოვრებისა და არსებობის ფორმა, საერთო ხალხურობას უნდა ეწოდოს. მაგრამ, ამავე დროს და პირველ რიგში, არ უნდა დაგვავიწყდეს დიდი ნიჭით დაჯილდოებული ცალკეული პიროვნებანი, რომელთაც კულტურა აჰყავთ უმაღლესი მიღწევების დონეზე, და არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე მასების მიერ ამ მაღალ მიღწევათა გაგებისა და წვდომის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რაც უდიდეს ზრუნვასა და ძალისხმევას მოითხოვს. ამ დიალექტიკაში ვლინდება სოციალისტური კულტურის არსი და ეს იძლევა საშუალებას, თავიდან ავიცილოთ ეგრეთ წოდებული „მასობრივი კულტურის“ შემოტევა, რომელსაც თან სდევს ბევრისათვის გაუცნობიერებელი უხამსი ესთეტიკური იდეალი და ჭეშმარიტი ესთეტიკური გრძნობის საყოველთაო დაქვეითება.

— რას იტყვით კულტურის ფონდის საქართველოს განყოფილების მომავალ მუშაობაზე?

— როგორც მოგახსენეთ, საქართველოს განყოფილება ჯერ არ შექმნილა, დამეთანხმებით, რომ ამ საქმის დიდი ხნით გადადება არ ივარგებს. თქვენი კითხვის პასუხად კი ვიტყვი შემდეგს:

მოქმედების უფართოესი ასპარეზი ექნება კულტურის საბჭოთა ფონდის საქართველოს განყოფილებას, რომლის შექმნა უახლოესი ამოცანაა. როგორც ცხოვრებაში ხდება.

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — კულტურის საბჭოთა ფონდის დაფუძნება სწორედ ამ გარდაქმნათა ერთ-ერთი გამოვლინებაა. გვეძლევა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი და ვიყოთ მისი ღირსი...

— როგორი იქნება კულტურის ფონდის საერთო სტრუქტურა?

— კულტურის საბჭოთა ფონდის ცენტრალური მმართველი ორგანო — დამფუძნებელი კონფერენციის მიერ უკვე არჩეული გამგეობა და მისი პრეზიდიუმი იმყოფება მოსკოვში. კულტურის ფონდის განყოფილებები შეიქმნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ისინი იხელმძღვანელებენ უკვე დამტკიცებული წესდებით და განყოფილებების შესახებ იმ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფონდის გამგეობა.

ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში ცალკეულ შემთხვევებში ფონდის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიქმნება განყოფილებანი ან დაინიშნებიან საზოგადოებრივი თუ შტატიანი რწმუნებულები, რომლებიც იმოქმედებენ გამგეობის მიერ მათთვის დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

— მართალია, მოკავშირე რესპუბლიკათა განყოფილებების დებულება ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ როგორია თქვენი წინასწარი აზრი მის შესახებ?

— პირადად მე კარგად მაქვს შეგნებული და დამფუძნებელ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაშიც ხაზგასმით აღვნიშნე, თუ რა განსაკუთრებული როლი ენიჭება ეროვნულ, აქტიურ მეცადინეობას მიმართავს ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის, პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, აღნიშნავს გაზეთი **„ნოდონ სინმუნი“**. მთელი კაცობრიობისათვის ამ საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხისადმი საბჭოთა კავშირის მიდგომას ფართოდ იწონებენ მთელ მსოფლიოში. კორეელი ხალხი აქტიურად უჭერს მხარს წინადადებებსა და ღონისძიებებს, რომელებსაც ეს მიმართვა შეიცავს.

ამერიკის შეერთებული შტატები: „სავსებით ვეთანხმები საბჭოთა პარლამენტარების მიმართვაში ჩამოყალიბებულ აზრს, რომ დღეს ვერავინ ვერ განუდგება ომისა და მშვიდობის საკითხებს, — თქვა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ **ჯ. ჩერვინმ.** ამ მიმართვის დროულობას მოწმობს ომის საწინააღმდეგო მოძრაობების ზრდა მთელ მსოფლიოში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. განსაკუთრებით მინდა ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში ერთხელ კიდევ დადასტურებულია რეიკიავიკში სსრ კავშირის მიერ წამოყენებული ფართო მასშტაბის წინადადებანი. მათი მიზანი ხომ ბირთვული შეიარაღების სრული ლიკვიდაციაა. სამწუხაროდ, რეიგანის ადმინისტრაციამ ხელიდან გაუშვა ისტორიული შესაძლებლობა შეეჩერებინა და უკუღმა დაეტრიალებინა გამალებული ბირთვული შეიარაღება. უფრო მეტიც, ვაშინგტონის ოფიციალურ წარმომადგენელთა ამასწინანდელი გამონთქვამები მოწმობს, რომ თეთრი სახლი აპირებს გაუნუდგეს იმას, რაზეც დათანხმდა ისლანდიის დედაქალაქში. ამან არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესების პროცესის გამო. რეიგანის ადმინისტრაციამ უნდა გადასინჯოს თავისი პრიორიტეტები და, ბოლოს და ბოლოს, ეფექტანი ღონისძიებანი განახორციელოს მშვიდობის გამბატკიცების მიზნით და არ უბიძგოს პლანეტას ბირთვული კატასტროფისაკენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა: საბჭოთა კავშირმა დაადასტურა თავისი წინადადება უახლოესი ათი წლის განმავლობაში მოისპოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება, აღნიშნა ტელეპროგრამა **არდის** წამყვანმა. მოსკოვში ხელმძღვანელობენ იმით, რომ არ შეიძლება დაიკეტოს კარი, რომელიც გაიღო საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრის დროს. განიარაღების წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ისლანდიის დედაქალაქში, ძალაში რჩება. ამ წინადადებათა რეალიზაციის გზაზე, რომლებიც კაცობრიობას ბირთვული იარაღისაგან განთავისუფლებას ჰპირდება, მთავარ დაბრკოლებად რჩება სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ამერიკული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსში იარაღის განლაგებას.

პორტუგალია: მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი უწოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მმართვას გაზეთმა **„დიარიუმ“**. მიმართვაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სსრ კავშირის დამოკიდებულება კოსმოსის მილიტარიზაციის რეიგანისეული პროგრამის, როგორც სერიოზული საფრთხისადმი, რომელიც გზას უხსნის ბირთვული ომის გაჩაღებას. ამგვარი საშიშროების წინაშე დროა დასავლეთის ქვეყნები ამ საკითხში კონსტრუქციულ პოზიციას დაადგნენ.

პავსტრია: „საბჭოთა კავშირი მოგვიწოდებს შეექმნათ ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი მსოფლიო“ — ამ სათაურით განმარტავს მიმართვას გაზეთი **„ფოლქსშტიმე“**. გამალებულ კოსმოსურ შეიარაღებას საბჭოთა კავშირი უპირისპირებს რეალურ ალტერნატივას — კოსმოსის მშვიდობიან ათვისებას ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობის საფუძველზე საყოველთაო კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

ინდოეთი: მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას, განაცხადა ინდოეთის პარლამენტის წევრმა; ინდოეთის ეროვნული კონგრესი (ი) მმართველი პარტიისაგან, ამ პარტიის სრულიად ინდოეთის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ნ. კ. შარმამ,** გამაღლებული ბირთვული შეიარაღება რეალურ საფრთხეს უქმნის მთელ ცივილიზაციას. იმედი მაქვს და მწამს, რომ სხვა ქვეყნები მიჰბაძავენ ამ კეთილშობილურ მაგალითს.

პანამა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა ჰუმანური მოწოდებაა, დავიცვათ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავალი, ჩვენი პლანეტის ადამიანთა სიცოცხლე, თქვა პანამის საკანონმდებლო ასამბლეის (პარლამენტის) საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ლ. გომესმა.** ყველა სახელმწიფოს ნამდვილი უშიშროების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ უბირთვო მსოფლიოს პირობებში, რომლის შექმნის კონკრეტული გეგმა წამოაყენა და ფაქტობრივად უკვე ცალმხრივი წესით ახორციელებს საბჭოთა კავშირი. მაგრამ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაშინგტონი მზად არ აღმოჩნდა უარი ეთქვა გამალებული შეიარაღების გაძლიერების პოლიტიკაზე.

ეკვადორი: მოწოდება, რომლითაც კაცობრიობის ისტორიის გადამწყვეტ მომენტში მოგვმართეს საბჭოთა პარლამენტარებმა — მტკიცედ ვიბრძოლოთ უბირთვო მსოფლიოს, ყველა სახელმწიფოს თანაბარი საიმედო უშიშროების შექმნაზე პრაქტიკული გადასვლისათვის, — ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნის პარლამენტარების მხარდაჭერას იმსახურებს, აღნიშნა ეკვადორის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ე. აიალა მორენმ.** ბირთვული ტვირთისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საერთო პროცესში ყველა სახელმწიფოსათვის არის ადგილი. როცა საქმე ეხება ცივილიზაციის ხსნას, არ არსებობენ დიდი და პატარა ქვეყნები და ხალხები. ეს ეხება ყველას და ყველას საზრუნავი უნდა იყოს. (სკკდსსი).

მუშაობს მზე

აფხაზეთის სახაგრომრეწვში გაერის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობიდან მიიღეს უჩვეულო განაცხადი — საქმაბის თხევადი სათბობით მომარაგების შეწყვეტის შესახებ. სითბოს აქ უკვე იღებენ უფასოდ — ციდან.

შენობის ბრტყელ სახურავზე დამონტაჟებული ჰელიოდანადგარის 144 ბატარეა დღეში ათობს ოთხ კუბურ მეტრზე მეტ წყალს 50 გრადუს ტემპერატურამდე წლის გრილ დროს და სამოც გრადუსამდე — ზაფხულში. ასე გადაწყვიტეს ენერგეტიკოსებმა მზის ბატარეების დახმარებით 800 ძროხისათვის განკუთვნილი კომპლექსის თბილი წყლით უზრუნველყოფის პრობლემა.

ახლა მეურნეობაში დგამენ სპეციალურ ცისტერნას — თერმისს გამთბარი წყლის შესაგროვებლად, რომელსაც მიაწვდიან ფერმის საშხაპეებსა და მეცხოველეთა ბინებს.

მზის ენერგიის გამოყენება მეურნეობას შესაძლებლობას მისცემს წლის მანძილზე დაზოგოს, მიახლოებითი გამოთვლებით, სულ ცოტა 3,5 ათასი მანეთი.

აგრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაც მომავალი წლიდან აპირებს უარი თქვას ბენზინზე, ნავთზე, ელექტრონერგიაზე. ამ ფირმამ „სპეციალიზებულ-ტრანსპორტი“ დასავლეთევროპელ ბანკს „ლესლიძის“ საქმაბის სახურავზე დაუდგა ჰელიოთბოგადამცემი. ამ სისტემის [illegible] ტონა [illegible] ამდენი წყალი სავსებით საკმარისია საბინაო-საყოფაცხოვრებო [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მეცნიერება

ქართული რენესანსის პრობლემისათვის

ქართული და, საერთოდ, „აღმოსავლური“ რენესანსის თეორიის შექმნა ქართული საბჭოთა მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ეს თეორია წამოაყენა გამოჩენილმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ 45 წლის წინათ. ამ 45 წლის მანძილზე მან მრავალმხრივი გამოხმაურება პოვა როგორც საბჭოურ, ისე საზღვარგარეთულ მეცნიერებაში. ეს თეორია დიდად გაფართოვდა და გაღრმავდა, ამავე დროს მისი კრიტიკისა თუ უარყოფის მიზნითაც ბევრი რამ დაიწერა. ამასთანავე, ცხადი გახდა, რომ მისი აშკარად უარყოფის შემთხვევაშიც კი გვერდს ვერ ავინ ულის იმ რენესანსოლოგიურ პრობლემატიკას, რომელიც შ. ნუცუბიძემ დაამკვიდრა ან დააკვალიანა. ქართულ საბჭოურ მეცნიერებაში არ შექმნილა ლიტერატურათმცოდნეობაზე დამყარებული ზოგადკულტურული მნიშვნელობის მქონე სხვა რომელიმე თეორია, რომელსაც ასეთი რეზონანსი მოჰყოლოდეს. მან ამავალა თანამედროვე ქართული მეცნიერების პრესტიჟი, მიუხედავად იმისა, რომ საკამათოც ბევრი რამ იყო. შ. ნუცუბიძის თეორიამ საკუთრივ რენესანსოლოგიურ პრობლემატიკასთან ერთად გააქტუალურა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სპეციფიკის ძიება და მათი ურთიერთშეჯერება.

„აღმოსავლური რენესანსის“ თეორია პირველად გადმოიცა შ. ნუცუბიძის მონოგრაფიაში „აღმოსავლური რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“, 1941 წელი, უფრო სრულად კი წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, 1947 წელი, რომელიც 1967 წელს განმეორებით გამოიცა.

იმთავითვე, მხარდაჭერასთან ერთად როგორც საქართველოში, ასევე, საერთოდ, საბჭოურ მეცნიერებაში ზემოაღნიშნულ თეორიას უარყოფითად შეხვდა ბევრი ცნობილი მეცნიერი (კ. კეკელიძე, ვ. ჟირმუნსკი, ი. ბრაგინსკი და სხვანი). მაგრამ შემდეგ არაერთი მისი მოწინააღმდეგე, აკადემიკოსი გ. ჟირმუნსკი, ი. ბრაგინსკი და თვით აკადემიკოსი ნ. კონრადიც კი არათუ მხარს უჭერენ შ. ნუცუბიძის თეორიას, არამედ სულ სხვადასხვა მხრივ ავითარებენ მას.

შ. ნუცუბიძის თეორიის კვალობაზე ვ. ჟირმუნსკიმ ჩამოაყალიბა შუაზიური რენესანსის თეორია, რომელსაც დღეს ავითარებს ი. ბრაგინსკი. შეუძლებელია შ. ნუცუბიძის თეორიის ანარეკლი არ დავინახოთ, როცა ძველ რუსულ მწერლობაში პროტორენესანსის კვალს ხედავენ (აკადემიკოსი დ. ლიხაჩოვი), ხოლო როცა ბულგარულ მწერლობაში რენესანსულ ნაკადებს იკვლევენ, მეცნიერები ხშირად მიუთითებენ შ. ნუცუბიძის ნაშრომებს.

შ. ნუცუბიძის თეორიის გამოყენებისა და განვითარების ერთ-ერთ საყურადღებო ცდად უნდა ჩაითვალოს ვ. ჩალოიანის მონოგრაფია „სომხური რენესანსი“. ვ. ჩალოიანმა გაფართოვა ეროვნულ რენესანსთა შესაძლებლობის მტკიცებანი. მაგრამ მასთან უკვე იგრძნობა თვით „რენესანსის“ ცნების ზედმეტად გაფართოება, მისი მოალერსებული, მაგრამ უპირველესად გელათის აკადემია. იგი იტალიაში მარსილიო ფიჩინოს აკადემიის მსგავსად ნეოპლატონისტური იყო, აქ ასწავლიდნენ წარმართი ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის ახლებურად გადამუშავებულ მოძღვრებას. ჰეგელის შეფასებით, პროკლე ნეოპლატონიზმის მწვერვალი იყო. პეტრიწმა მოგვცა მისი ფილოსოფიის შემოქმედებითი გადამუშავება (ა. ლოსევი). მაგრამ უმთავრესი მაინც „ვეფხისტყაოსანს“ რენესანსული ბუნებაა. ძირითადად სწორედ მას უნდა დაემყაროს რენესანსის პრობლემა.

შ. ნუცუბიძის თეორია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ნაყოფია. საქმე ის არის, რომ მას წინ უძღოდა ქართული საერო მწერლობის ხლება საერთოდ კულტურის აღმავლობასთან, მის განსაკუთრებულ წარმატებებთან. ცხადია, რენესანსის საკითხი იყო და რჩება საკუთრივ მეცნიერულ პრობლემად და იგი არ უნდა იქცეს უბრალო დეკლარაციად ეროვნული პრესტიჟის გამოხატვისას.

ყველაზე ფართოდ მაინც შ. ნუცუბიძის თეორია განავითარა აკადემიკოსმა ნ. კონრადმა, მან „აღმოსავლური“ რენესანსის თეორია აქცია მსოფლიო რენესანსთა უწყვეტი მონაცვლეობის თეორიად. ნ. კონრადის დასკვნით, რენესანსული კულტურა თავდაპირველად იწყება ჩინეთში, შემდეგ აღმოცენდება შუა აზიაში, შემდგომ — ამერკავკასიაში და ბოლოს — ევროპაში. ნ. კონრადის თეორია ზედმეტად ტელეოლოგიურია (ზედმეტად მიზნობრივია). არ არის ნათელი: ის, რაც იწყება ჩინეთში, რატომ უნდა მთავრდებოდეს ევროპაში (ძალაუნებურად, ესეც ევროპოცენტრიზმია). ამ კონცეფციით, რენესანსის ცნებას დაეკარგა კონკრეტულობა და ზოგადად „პროგრესს“ გაუთანაბრდა. მისივე შეხედულებით, „ვეფხისტყაოსანი“ საკუთრივ აღმოსავლური — ისლამური კულტურის სფეროს ნაწილია, რაც არ არის სწორი (რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული საკითხები, თბ., 1975). შ. ნუცუბიძის „აღმოსავლური“ რენესანსი გულისხმობდა არა ორიენტალურ კულტურას, არამედ ამერკავკასიას და ამით ევროპოცენტრიზმს უპირისპირდებოდა. ქართული მწერლობა იმთავითვე კულტურათა დასავლურ ჯგუფს განეკუთვნებოდა.

შ. ნუცუბიძის თეორიის გავლენა დღესაც მრავალმხრივ ვლინდება. ეს ცხადად ჩანს თუნდაც თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული შ. ნუცუბიძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულიდან (რედაქტორი — ა. ბეგიაშვილი) და ასევე ა. ლოსევისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულიდანაც (რედაქტორი — გ. თევზაძე).

აქ წარმოდგენილ ქართველ და სხვა საბჭოთა მეცნიერების ნაშრომებში ხსენებული თეორიიდან გამომდინარე ახალი საკვლევაძიებო საკითხებია დასახული.

უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს შ. ნუცუბიძის თეორიას გამოჩენილი მეცნიერი ა. ლოსევი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღორძინების ესთეტიკა“. მისი დასკვნით, შ. ნუცუბიძემ მოგვცა გასაღები მსოფლიო რენესანსის შესასწავლად. აქ ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ნეოპლატონიზმის აღიარება რენესანსის უმთავრეს საყრდენად. ნეოპლატონიზმი კი წამყვანია ქართულ რენესანსშიც (არეოპაგიტიკის თვისება — პეტრიწი — რუსთაველი). ა. ლოსევი შ. ნუცუბიძის კონცეფციას განვითარებად თეორიად მიიჩნევს და პერსპექტიულად სახავს.

ამასთანავე, დისკუსია გრძელდება. არაერთი მეცნიერი უარყოფს აღმოსავლური რენესანსის იდეას და რენესანსს ძხოლოდ ტიპურ დასავლეთ ევროპულ მიმდინარეობად მიიჩნევს. მათაც თავიანთი ანგარიშგასაწევი არგუმენტები აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ არსებული დაპირისპირებულობა სასარგებლოა საერთოდ რენესანსოლოგიური მეცნიერების სოლიდ, კერძოდ, ქართული რენესანსოლოგიის განვითარებისათვის. სწორედ დისკუსიაა სასარგებლო, და არა წინასწარგანჩინებული პოზიცია. თუკი დღეს საბოლოოდ გადაწყვეტილად არ ჩავთვლით ქართული რენესანსის არსებობას, არც მისი არარსებობა უნდა ჩაითვალოს დადგენილად.

ძიებას ითხოვს საკითხი: რუსთველის ხანაში უპირველესად „ვეფხისტყაოსანია“ რენესანსული ბუნებისა, თუ მთელი იმდროინდელი ქართული კულტურა, მისი ყოველი დარგი? რუსთველის ხანაში ბევრი რამ იყო რენესანსული, მაგრამ უპირველესად გელათის აკადემია. იგი იტალიაში მარსილიო ფიჩინოს აკადემიის მსგავსად ნეოპლატონისტური იყო, აქ ასწავლიდნენ წარმართი ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის ახლებურად გადამუშავებულ მოძღვრებას. ჰეგელის შეფასებით, პროკლე ნეოპლატონიზმის მწვერვალი იყო ო. პეტრიწმა მოგვცა მისი ფილოსოფიის შემოქმედებითი გადამუშავება (ა. ლოსევი). მაგრამ უმთავრესი მაინც „ვეფხისტყაოსანს“ რენესანსული ბუნებაა. ძირითადად სწორედ მას უნდა დაემყაროს რენესანსის პრობლემა.

შ. ნუცუბიძის თეორია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ნაყოფია. საქმე ის არის, რომ მას წინ უძღოდა ქართული საერო მწერლობის წარმოშობის თეორია (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ვ. ბარნოვი), რომელმაც მოუმზადა ნიადაგი რენესანსის პრობლემას. ამიტომ ბუნებრივიც უნდა იყოს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განსაკუთრებული ინტერესი რენესანსის პრობლემისადმი. მთელი სისრულით და თავისი კლასიკური ფორმით, ცხადია, რენესანსი საკუთრივ იტალიური და დასავლეთევროპული მოვლენაა. ტოპოლოგიურად მათი შემსგავსებული მოვლენები სხვაგანაც შეიძლება იყოს. მაგალითად, მთელი აღმოსავლეთ ევროპული კულტურულ-ისტორიული რეგიონის მწერლობათა მასშტაბით მნიშვნელოვანია ის დიდი გარდატეხა, რომელიც XII საუკუნეში ქართული საერო მწერლობის წარმოშობით აღინიშნა და რამაც რუსთველურ ჰუმანიზმამდე მიგვიყვანა. ბიზანტიაში ელინისტური რომანის აღორძინებას „ვეფხისტყაოსანს“ ტიპის ნაწარმოები არ მოჰყოლია, ხოლო ორიენტალურ რეგიონთა მწერლობანი სულ სხვა კანონზომიერებებით ვითარდებოდა, რაც არ არის ჯერჯვნად გათვალისწინებული.

ამ 45 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა მეცნიერებაში და ამიტომ ბუნებრივია, რომ საპირო ხდება კორექციათა შეტანა შ. ნუცუბიძის თეორიაში. ამასთანავე მას იმთავითვე დაჰყვა უზუსტობანი თუ ცდომილებანი, რომლებსაც ალბათ, დღეს თვით შ. ნუცუბიძეც უარყოფდა. უმეტესი მათგანი დიდი ხანია დაძლეულია თვით ქართველ მეცნიერთა-განმ. ამიტომ, თუ ჩვენ თავად არ მოვახდინეთ კორექცია აღნიშნული თეორიისა, ქართულ მეცნიერებას შეიძლება მიეწეროს ისეთი რამ, რაც უკვე თვით მის მიერვე კარგა ხანია უარყოფილი. მაგალითად, ა. ლოსევი სამართლიანად აკრიტიკებს შ. ნუცუბიძეს, თითქოს რუსთაველის მსოფლმხედველობა ეფუძნებოდეს პანთეიზმსა და ერესს. ამგვარი შეხედულების კრიტიკა კი თითქმის 40 წლის წინათ გამოთქვა კ. კეკელიძემ.

შ. ნუცუბიძის თეორიის კორექტირება მარტო შეცდომების მიხედვით როდია საჭირო. საჭიროა იმ მნიშვნელოვან პოზიციურ მონაპოვართა გათვალისწინებაც, რასაც ბოლო დროს მიაღწია რუსთველოლოგიამ და, საერთოდ, ქართული ლიტერატურათმცოდნეობამ (ასევე — მეცნიერებათა სხვა დარგებმაც). გაუგებრობათა მიზეზი ხდება ისიც, რომ ჩვენ რუსულად ჯეროვნად არა გვაქვს წარმოჩენილი ქართველოლოგიური მეცნიერებათა მიღწევანი (რაც, სხვათა შორის, გამომეღვნდა 1977 წელს ჟურნალ „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე რენესანსისადმი მიძღვნილი დისკუსიის დროს). გამოდის ისე, რომ ჩვენ ვთმობთ პოზიციებს.

ამასთანავე, ალბათ, საპირო იქნება ზოგიერთი კორექტირების კორექტირებაც. მაგალითად, ე. შელტინსკი წერს: „რენესანსისადმი მიკუთვნება რუსთაველისა, ისევე როგორც ისტორია აღმოსავლური რენესანსისა — რუსთაველის ანდა აღმოსავლეთის ზოგიერთი სხვა პოეტების გადაჭარბებული შეფასების შედეგიკი არ არის, არამედ შედეგია შუასაუკუნეობრივი კულტურის დაუფასებლობისა, კერძოდ, XII-XIII საუკუნეების კურტუაზიული ლიტერატურისა და მასში მოცემული „ჰუმანისტური“ საწყისისა“.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის რენესანსულ მოვლენათა მედიეგიზაცია ანუ შუასაუკუნეობრიობით შემოფარგლა.

თუ რუსთველური ჰუმანიზმი არ განსხვავდება შუასაუკუნეობრიობისაგან (ამ ტერმინის კულტურულ-ისტორიული შინაარსით), მაშინ რენესანსულ გარდატეხაზე საუბარს, მართლაცდა, არ ექნებოდა აზრი, მაგრამ რუსთველის მსოფლმხედველობა არ იფარგლება შუა საუკუნეებით.

სადღეისოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რენესანსის დამოკიდებულებას შუა საუკუნეების კულტურისადმი. საქმე ის არის, რომ ადრე სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული არ იყო შუა საუკუნეებში კულტურის დიდი მიღწევანი; შეფასებისას ხშირად იფარგლებოდნენ შუა საუკუნეების უარყოფითი მხარეების ჩვენებით. დღეს ამგვარი პოზიცია დაძლეულად ითვლება არ მარტო დასავლეთევროპული შუასაუკუნეების მიმართ, არამედ ძველი რუსული, სომხური, ბულგარული, ქართული, აღმოსავლური შუასაუკუნეებისა და, რაც მოჩენილი რუსთაველოლოგიაში, შესწავლილია. მაგრამ ამას მოჰყვა სხვაგვარი უკიდურესობანი; შუა საუკუნეებს მიაწერეს რენესანსუშიც“. აქაც პლატონისა და არისტოტელის ნაზრევთა გვერდით ფართოდ არის წარმოდგენილი ბიბლიური, შუასაუკუნეობრივ-ქრისტიანული და აღმოსავლური მოძღვრებანი. როცა პლატონსა და არისტოტელეს და მეტადრე აღმოსავლურ სიბრძნეს დაუყენებენ ბიბლეისტიკასა და ანიმაგიტიკის გვერდით, ეს სხვა არაა რა, თუ არა რენესანსული აზროვნების გამოხატულება.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანის“ დონისთვის იმ დროის ხელოვნების ყველ დარგს არ მიუღწევია. მაგალითად, არ განვითარებულა ქართული რენესანსული ფერწერა (სივრცული პერსპექტივისა და პლასტიკის შემცველი მხატვრობა). მონუმენტური მხატვრობა შუასაუკუნეობრივი ფრესკებით არის წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი განსხვავებანი სხვა ეპოქებშიც აღინიშნება. სადღეისოდ აუცილებელია სწორედ დიფერენციერებული მიდგომა, რადგანაც ხელოვნების სხვა დარგები რომც არ იყოს რენესანსული, ეს ვერ უარყოფს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ტიპოლოგიურად რენესანსული პოემაა. სწორედ ასეთი პოზიცია უნდა იყოს დღეს წამყვანი.

რენესანსთან დაკავშირებას „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისთვის ძალზე მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს: 1. გაღრმავდა და გაფართოვდა იმ საერთო წყაროების შესწავლა, რომლებსაც იყენებს „ვეფხისტყაოსანიც“ და დასავლეთევროპული რენესანსული მწერლობაც (მაგალითად, არეოპაგიტული წანამძღვრებისა). 2. რენესანსოლოგიური პრობლემატიკა ჩვენ წინაშე აყენებს საკითხებს, რომლთა გათვალისწინებაც აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სპეციფიკის საკვლევად. ყველაზე არსებითია მაინც აზროვნების ესთეტიზაცია. ეს არის რენესანსული აზროვნების საფუძველი. საფუძველი. აზროვნების ესთეტიზაცია გულისხმობს, რომ ადამიანთა და მოვლენათა შეფასების უმთავრესი სიზომი ესთეტიკური თვალთახედვაა. ყველაფერს გაბართლება აქვს, თუ ის ლამაზი და ამაღლებულია. ეს არის რენესანსოლოგიის მთავარი ნიშანი საერთოდაც და „ვეფხისტყაოსანშიც“.

ამიტომ დღესაც აქტუალურია და უდავოდ პერსპექტიულიც ქართული რენესანსის პრობლემა, რომლის შემდგომი განვითარება თუ დაზუსტება, უნდა მოხდეს მეცნიერებათა მიღწევების კომპლექსურად გათვალისწინების საფუძველზე.

რ. სირაძე,
პროფესორი.



მრავალი მსახიობი და რეჟისორი აღზარდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა. მისი არსებობის მანძილზე იგი იქცა ჩვენი სასცენო ხელოვნების ნამდვილ სამჭედლოდ.

ამჟამად აქ ეუფლებიან სპეციალობას თეატრის და კინოს მომავალი მსახიობები და რეჟისორები, თეატრმცოდნეები, კინოოპერატორები, კინომცოდნეები, კულტსაგანმანათლებლო მუშაკები.

სურათებზე: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. თუმანიშვილი ატარებს რეპეტიციას კომპლექსურ სამსახიობო-სარეჟისორო კურსზე; მეტყველებისა და ცეკვის გაკვეთილებზე.

ს. კილაძის ფოტო.

მწერალი შეხვდა თეატრს

მეტეხის სახელმწიფო ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიაში ახლახან ერთმანეთს შეხვდნენ დასი და ქართველი მწერლები. ამ საინტერესო ღონისძიების მიზანი იყო თეატრს და მის მთავარ რეჟისორს შემოქმედებითი ანგარიში ჩაებარებინათ ქართველი მწერლებისათვის, რადგან მათ სწამთ, რომ თეატრის მამოძრავებელი ძალა სწორედ ეროვნული მწერლობა და დრამატურგია უნდა იყოს. ამის დასტურად წარმოადგინეს მათ ეგ. ნინოშვილის „პარტახი“, დ. კლდიაშვილის „უბედურება“ და ი. ჭავჭავაძის 150-წლისადმი მიძღვნილი დადგმა „განდეგილი“. პირველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ („პარტახი“ და „უბედურება“ ერთ სპექტაკლად ითვლება) გაიმართა სჯა-ბაასი. ჯერ ამ წარმოდგენაზე იმსჯელა თავად სანდრო მრევლიშვილმა, რომელმაც აღნიშნა მწერლობის თეატრთან თანამშრომლობის უდიდესი მნიშვნელობა და თქვა, რომ ქართული კულტურის ეს ორი უძლიერესი მხარე ერომანეთის ხელის შემწყობი უნდა იყოს; მან ილაპარაკა მომავალ გეგმებზე, იმაზე, რომ ახალგაზრდა ქართველ დრამატურგებს დიდი ადგილი უჭირავთ სამომავლო რეპერტუარში. შემდეგ გამოვიდა პოეტი ენვერ ნიკორაძე. მან დიდი სიხარულით აღნიშნა ის არსებითი ცვლილებები, რომლებიც თეატრს განუცდია ამ ბოლო ხანს. მართალია სანდრო მრევლიშვილის სპექტაკლები ყოველთვის გამოირჩეოდა ფორმის ორიგინალურობით და რეჟისორული მიგნებით, მაგრამ სამსახიობო შესრულება ნაკლებად უწყობდა ხელს, ამ სპექტაკლებიდან გამომდინარე კი მსახიობთა დონეც საკმაოდ ამაღლებულა, თქვა მან. განსაკუთრებით აღინიშნა ნ. ქვიტეტიანის, ზ. ციხეკაძის, ო. ბერიძეს, ნ. ბერიძეს, ბ